ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო

რეგისტრაციის ნომერი №57/1-180

№17 (51) აგვისტო, 2006 წელი

ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლირს არს, თაყვანი ვცეთ ყოველმან

მაქსიმეობა

დღეს მართლმადიდებელ სამყაროში თაყვანისცემით წარმოთქვამენ უდიდესი საეკლესიო მამის, მსოფლიო მნიშვნელობის წმიდანის—მაქსიმე აღმსარებლის სახელს, ვფიქრობ, აღარავისთვისაა საეჭვო, რომ დევნილმა და დასახიჩრებულმა მაქსიმემ სიცოცხლის ბოლო ჟამი საქართველოში გაატარა, უფლის ნებით საუკუნო განსასვენებელი ლეჩხუმში ჰპოვა. მისი წმიდა ნაწილები მურში, ცხენისწყლის პირას მდგარ კოპწია საყდარში განისვენებს.

ლეჩხუმში უკვე ტრადიციად იქცა წმიდა მაქსიმეს ხსენების დღე. წელსაც უამრავი მორწმუნე ჩამობრძანდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ძვირფასი საფლავის მოსალოცად და სულის საოხად.

დღესასწაული კი ასე დაიწყო: 24 აგვისტოს ლეჩხუმში ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი შემოაბრძანეს. ეს უდიდესი მადლი და სიხარული თან ახლდა მაქსიმობას. პირველად ხატი სოფელ ალპანაში დააბრძანეს. აქ პარაკლისი გადაიხადა ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსმა სტეფანემ. ამის შემდეგ ხატი ლაჯანაში გადააბრძანეს, სადაც უამრავი მლოცველს მოეყარა თავი. აქიდან კი ლიტანიობით სოფელ ორბელში მიაბრძანეს.

იმავ საღამოს დიდძალი ხალხი შეიკრიბა წმიდა მაქსიმე აღმსარებლის მონასტრის ეზოში. მრევლი დიდის მოწიწებით შეხვდა ღვთისმშობლის ხატის შემობრძანებას.

მაინც რა საოცარი ძალი აქვს და მადლი აქაურობას. ტაძარში საკმევლის სუნი დგას. მიმდინარეობს წმინდანის თაყვანისცემა. კიდევ ერთხელ უღმრავდები: რაც აქ ხდება, უფლის წყალობაა და ნება, ჭეშმარიტი სარწმუნოებისა და ჩვენი სულის გადარჩენისათვის მოკვეთილი, ენაამოგლეჯილი და მკვლავმოჭრილი წმიდანი აქ შენს წინ ასვენია...

მადლობა უფალო, ამ მადლისათვის, ამ ბედნიერებისათვის.

25 აგვისტოს მაქსიმეს მონასტერში დილის საზეიმო წირვაა. მეუფე სტეფანემ მაქსიმობა მიულოცა ყველას, დალოცა სამწყმსო და სრულიად საქართველო.

ამის შემდეგ საზოგადოება ცაგერის სარაიონო კულტურის სახლში შეიკრიბა. აქ წმიდა მაქსიმე აღმსარებლისადმი მიძღვნილი მეორე სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა.

კონფერენცია გახსნა ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსთა სტეფანემ. იგი მიესალმა კონფერენციის მონაწილეებს, რომ სამწუხაროდ, ბოლოდე ჯერ კიდევ არ გაგვიცნობიერებია რას ნიშნავს მაქსიმე აღმსარებელი და მისი საფლავი ლეჩხუმისთვის, რეგიონისთვის. რომ მეტი პატივისცემა გვმართებს მარადიული ღირებულებებისა, მაქსიმეს ხსენება და საფლავი დიდი მომავლის საწინდარი გახდება ჩვენთვის, ამას მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდოს ინტელიგენცია, ხელისუფლება".

მოხსენებით თემაზე—„წმიდა მაქსიმე აღმსარებლის გადმოსახლების,; გარდაცვალებისა და დაკრძალვის ადგილმდებარეობის დადგენისათვის". გამოვიდა ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსი სტეფანე. მან ვრცლად ილაპარაკა წმინდანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ერთხელ კიდევ წარმოადგინა თავისი ვერსია წმინდა მაქსიმეს ჯერ სვანეთში დაკრძალვისა და შემდეგ მურში გადმოსვენების შესახებ.

ისაუბრა იმ კვლევა-ძიებაზე, რომელიც მიმდინარეობს და მომავალში უფრო ფართოდ უნდა წარიმართოს. აღნიშნა, რომ წმიდა მაქისმე თავისი მოწამეობრივი ცხოვრებით გვასწავლის, თუ როგორ უნდა ვიაროთ ჭეშმარიტი რწმენის გზაზე.

მოხსენებები წარმოადგინეს ტარიელ ფუტკარაძემ, ვალერი სილოგავამ, დიმიტრი ლეთოდიანმა, მამუკა გოლეთიანმა, ანა ლეთოდიანმა, ლარისა ახვლედიანმა, დავით კოპალიანმა და სხვებმა.

კონფერენციაზე გამოიკვეთა აზრი, რომ კვლავაც უნდა გაგრძელდეს მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კვლევა-ძიება.

მეუფე სტეფანე კონფერენციის მონაწილეებს შეპირდა, რომ კონფერენციის მასალები გამოიცემა წიგნად.

იმავ საღამოს გაგრძელდა ღვთისმსახურება—ცაგერის ტაძარში ეკლესიის ზარი საღამოს ლოცვაზე, უხმობდა მრევლს, ხოლო გვიან ღამით ღამისთევით წირვა-ლოცვაზე გადაინაცვლეს წმიდანის მონასტერში.

***

26 აგვისტოს დილაა. ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში ტევა არ არის.

სანთლებით ხელში გარინდულა მრევლი, მასზე ღვთისმშობლის ხატის მადლი გადმოსულა. საზეიმო წირვა აღავლინეს ვანისა და ბაღდათის მთავარეპისკოპოსმა ანტონმა და ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსმა სტეფანემ.

„უპირველესად დაგლოცავთ დღევანდელი დღის, დღევანდელი წირვის მადლით,—ბრძანებს მეუფე ანტონი. თქვენნაირ ხალხს

გვ.2

ვალერი გიორგობიანი: „ჩვენ, ლეჩხუმელები, თანდათან გავძლიერდებით"

ინტერვიუ

ვალერი გიორგობიანი საქართველოს პარლამენტის წევრი და ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი გამოკვეთილი სახე, „ახალი ლეჩხუმის" ფურცლებზე უცხო პერსონა ნამდვილად არ გახლავთ, მაგრამ კარგა ხანია ბატონ დეპუტატთან ინტერვიუ აღარ შემდგარა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საოცრად განიცდის დროის დეფიციტს. ცაგერში ნაციონალური მოძრაობის ოფისში მის კართან მუდამ იმდენი მთხოვნელი დგას, ძალზედ ძნელია მასთან, როგორც რესპოდენტთან თავისუფალი წუთები გამონახო.

სწორედ ამიტომ ბევრი შეკითხვა დაგვიგროვდა, თანაც ინტერვიუ მაშინ შედგა, როცა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულება სულ რაღაც 3 დღის გამოსული იყო და ნაციონალების რაიონულ ოფისში ფორცმაჟორულ რეჟიმში მუშაობდნენ.

*

ბატონო ვალერ! თქვენ კარგა ხანია აღარ შეხვედრიხართ ჩვენი გაზეთის მკითხველს. გთხოვთ, მოგვითხროთ იმ საკითხებზე, რომლებიც გაახარებს ჩვენს ლეჩხუმლებს, იმ დადებით ძვრებსა და სიახლეებზე, რაც ამ ხნის მანძილზე მოხდა...

—მთავარი ისაა, რომ ჩვენს ქვეყანაში ბევრი წინსვლაა და ლეჩხუმშიც ბევრი რამ განხორციელდა. თქვენ კარგად იცით, რომ საქართველო მთელი 14-15 წლის მანძილზე უკუსვლით მიდიოდა, 3 წელიწადში კი ალბათ ძალზედ ძნელია რეგიონებამდე მიაღწიოს იმან, რაც ჯერ მხოლოდ დიდ ქალაქებში კეთდება, თუმცა რეგიონებსაც დიდი ყურადღება ექცევა. უცხოელი ინვესტორები და დიდი ფინანსისტები ჯერ დიდ ქალაქებში შემოდიან და შემდეგ ინტერსდებიან სხვა კუთხეები. თუ მათ ჯერ დიდი ქალაქები არ ვაჩვენეთ სათანადო დონეზე, მერწმუნეთ ჩვენით აღარ დაინტერესდებიან. ხშირად გვახსენებენ,; რომ კი კარგია გზები და ფასადების შეღებვა, მაგრამ მარტო ეს არ კმარაო. ფასადებს თავის მოსაწონებლად კი არ ვღებავთ, არამედ ის შინაურს თუ გარეშეს თვალში კარგად ხედება და კარგ ხასიათზეც აყენებს, როგორი სანახავია შავი, ბათქაშჩამონგრეული, ძველი დიდების მოსაგონარი კედლები? ლამაზი შენობები ადამიანში იმედს სახავს. მალე ასეთი შენობები ლეჩხუმშიც გვექნება. სხვა ბევრი სასიკეთო ძვრებიც მოხდება ჩვენთან, მაგრამ, მოდით, ამაზე წინასწარ ნუ ვისაუბრებთ, მოვლენებს ნუ გავუსწრებთ...

—ჩვენი საუბარი სწორედ იმ დროს ემთხვევა, როცა, როგორც იტყვიან „დაჩქარებულ ტემპში" ხდება თვითმმართველობის არჩევნებისთვის მზადება.

ყველა ის ორგანიზაციული თუ შიდასაარჩევნო და შიდაპარტიული საქმეები, რომელიც ლეჩხუმში უნდა განხორციელდეს, თქვენ დაგევალათ. რას გეგმავთ, გაქვთ თუ არა წარმატების იმედი და რითი მოხვედით ხალხთან?

—დავიწყოთ იმათ, რომ თითქოს მოულოდნელი იყო 5 ოქტომბრის არჩევნების ჩაგარება. არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი, რადგან ყველამ ვიცოდით 2006 წლის შემოდგომაზე იყო დაგეგმილი იგი და აი, ეს რიცხვიც გამოცხადდა. იყო ვარაუდი საღეკემბროდ, მაგრამ რადგან ოპოზიცია ზამთრის პირობების სირთულეებზე ალაპარაკდა, რადგან ნაც. მოძრაობის რეიტინგის შიშის თემასაც შეეხენ, პრეზიდენტმაც გაითვალისწინა მათი პრეტენზიები და მმართველი პარ-

გვ.2

განცხადება

უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II კურთხევით გაიხსნა ქ. ცაგერში წმიდა მაქსიმე აღმსარებლის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდის ანგარიში.

გთხოვთ შეტყობისდაგვარად შემოსწიროთ შემდეგ ანგარიშებზე:

მანი ტესპუბლიკა

სალარე ანგარიშის ნომერია: 3608080392

საკალუტო ანგარიშის ნომერია: 3618080392

ლირს არს, თაყვანი ვცეთ ყოველმან

(დასასრული)

ეკლესია ასე მიმართავს: წმიდანთა თაყვანისმცემელნო, დღესასწაულთა მოყვარენო! გილოცავთ დღევანდელ დღეს, ამ ფუსფუსს, მოსვლას ტაძარში, რომელიც გამოხატულია წმიდანის თაყვანისცემაში. ეკლესია პირველივე საუკუნიდან მიაგებდა წმიდანებს პატივს, როგორც ღვთის მეგობრებსა და მონებს. ეკლესია აღწერდა მათი ცხოვრების იმ წუთებს, რომელიც ღმერთს მიუძღვნეს. ამიტომ როდესაც ჩვენ წმიდანებს ვცემთ პატივს, ეს პატივი მიემართება ისევ შემოქმედისკენ, რომლისთვისაც ისინი ცხოვრობდნენ. საერთოდ, კაცობრიობის ბუნება ისე არის მოწყობილი, რომ ერთი ადამიანიც კი, რომელიც თავის თავში სძლევს ბოროტებას და ამარცხებს მას, ამით მთელ კოსმიურ ბოროტებას ამარცხებს. ამ გამარჯვების კვალი კი მთელ კაცობრიობაზე მოქმედებს. ღმერთი, რომლის წინაშეც წარიმართებოდა მათი ცხოვრება, ისმენს წმიდანთა ლოცვას და სწორედ მათი ლოცვით დგას ქვეყანა და დედამიწა.

ჩვენი დანიშნულება სწორედ ის არის, რომ ვილოცოთ მეტი, შევთხოვოთ წმიდანებს ჩვენზე მეოხება, ვიცხოვნოთ სული ჩვენი".

მეუფე სტეფანე: „მაქსიმობის დღესასწაული თანდათან იკრებს ძალას. იყო დრო, როცა ძალიან ცოტანი ვიყავით. აქ ვიკრიბებოდით მხოლოდ ის მცირედნი, ვისაც ახსოვდა მისი თაყვანიცემის აუცილებლობა. ნელ-ნელა წრე უფრო ფართოვდებოდა, თუმცა მეტია საჭირო. ვიმეორებ, ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებთ ბოლომდე, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს წმიდა მაქსიმეს ჩვენს ცხოვრებაში. როგორც იტალიაში ქალაქი ბარი ასოცირდება წმიდა ნიკოლოზის საფლავთან, ჩვენც უნდა დავამკვიდროთ, რომ ყველამ იცოდეს: როცა იტყვიან წმიდა მაქსიმე, იქვე იყოს ცაგერი და როცა იტყვიან—ცაგერი, იყოს წმიდა მაქსიმე. ეს ცნებები განუყოფელია იმ მადლის გამო, რომელიც ამ წმიდანმა ჩააქსოვა აქ".

მინდა საპატიო სტუმართა შორის განსაკუთრებული სიყვარულით ვახსენო მრევლი მესხეთიდან, სადაც მეუფე სტეფანე მოღვაწეობდა. მათი დიდი გზა გამოიარეს და წმიდა მაქსიმეს ხსენების დღისათვის თავის მოძღვართან, მეუფე სტეფანესთან მობრძანდნენ მგალობელთა გუნდით.

მრევლის ასეთ სიყვარულსა და სიახლოვეს ჩვენც და მესხებიც მეუფე სტეფანეს ვუმადლით.

ფიქრებიდან სწორედ მესხი და ლეჩხუმელი მგალობლების ხმამ გამომიყვანა.

საზეიმო ლიტურღიის შემდეგ ღვთისმშობლის ხატის თანხლებით მლოცველები ქალაქის იმ მოედნისკენ გაემართნენ, სადაც წმიდა მაქსიმეს სახელობის საკათედრო ტაძარი უნდა აშენდეს.

თაკარა მზე ძალუმად აცხუნებს. მაინც დიდძალი ხალხია მოედანზე. მეუფე სტეფანემ ვრცლად ილაპარაკა ტაძრის მნიშვნელობაზე დალოცა ყველა და ბრძანა: „ჩვენ წარმოგიდგენთ პროექტსა და მაკეტს საკათედრო ტაძრისას. შექმნილია სპეციალური ფონდი, არის შეთანხმებები;, მოლაპარაკებები, თანხაც შემოვა და უახლოეს დროში დავიწყებთ მშენებლობის საფუძვლის ჩაყრას.

ლეჩხუმში მაქსიმობაზე ბევრი სტუმარი ჩამობრძანდა. როგორც უკვე იცით, ჩვენთან სტუმარად იმყოფება ვანისა და ბაღდათის მთავარეპისკოპოსი ანტონი და მისი სტუმრობით ძალიან გაგვახარა, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო. მადლობა მინდა ვუთხრა სხვადასხვა ეპარქიიდან ჩამოსულ მრევლს, სასულიერო პირებს—მამა ანდრიას—ჯიხეთის მონასტრის წინამძღვარს, მამა მაქსიმეს, რომელიც მოსკოვიდან ჩამობრძანდა, იგი მოსკოვის ტაძრის წინამძღვარია და დიდ დახმარებას გვიწევს ყოველთვის, მამა დიმიტრის, რომელიც ჭულევის მონასტრიდან ჩამობრძანდა. ვისურვებდი თითოეული თქვენგანის კვლავ სტუმრობას ტაძრის მშენებლობის საძირკვლის ჩაყრაზე.

დიახ, ცაგერი იქნება არა მარტო რაიონული ცენტრი, არამედ გახდება მსოფლიო მნიშვნელობის სასულიერო ცენტრი—წმიდა მაქსიმე აღმსარებლის სახელთან დაკავშირებული.

ამას მოჰყვება სულიერი სიკეთე თავისთავად და მატერიალურიც.

ჩვენ მთელი გული უნდა ჩავდოთ ამ ტაძრის მშენებლობაში. ეს ტაძარი ყველა ეჭვის მიუხედავად, აშენდება, რადგან მას ღმერთი აშენებს. მთავარია თქვენი გული და ლოცვა".

მეუფე ანტონი: თუ ისტორიას გადავხედავთ, აშენდა სვეტიცხოველი—ამას მოჰყვა საქართველოს ძლიერება, აშენდა ბაგრატი—მოჰყვა საქართველოს ძლიერება, აშენდა გელათი—ასეთე გაძლიერდა საქართველო. როგორც წინაზარი—ასევე მანიშნებელია საქართველოს ძლიერებისა—ახალი უდიდესი ტაძარი სამეგრელოსა თბილისში.

გამოვავლინოთ ჩვენი თავი ეკლესიის მშენებლობაში. მე მოხარული ვარ, რომ ამ დღეს ვესწრები და ასევე მოხარული ვიქნები, ამ ტაძრის კურთხევასაც თუ დავესწრები.

ღმერთმა დაგლოცოთ და მაქსიმე აღმსარებლის ლოცვა შეგეწიოთ".

მოედნიდან ხალხის ქარავანი ისევ წმიდა მაქსიმეს საფლავისკენ დაიძრა. მივუყვებით ერი და ბერი მურის სანახებს, რამდენი რამის მომსწრეა ეს ულამაზესი და მკაცრი ბუნებრივი ადგილი—გამოქვაბულებით, ციხეებით, სევდიანი წარსულით და სისხლიანი ისტორიით.

წინ ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი მიგვიძღვის. საქართველო ხომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და თვით დედა ღვთისაა მფარველი მისი. ისევ დაგვიფარავს, ისევ წარგვიძღვება,- ჩვენთან არს ღმერთი!—ამ რწმენით კიდევ ერთხელ მივეახლეთ წმ. მაქსიმეს საფლავს, მოვილოცეთ და ძვირფას ხატსაც ვემთხვიეთ.

ნაშუადღევია. მზე დასავლეთისკენ ეშვება. ცხენნისწყლიდან მონაბერი ნიავი ოდნავ აგრილებს ზაფხულის ხვაშიადს. მრევლი დანანებით ტოვებს ამ წმიდა ალაგს და სჯერა, რომ გაივლის დრო და აქ კიდევ და კიდევ მეტი მომლოცველი მოვა.

მაქსიმობის ამ მადლმოსილ დღეებს კი ისტორია მიითვლის.

მზევინარ ძნელაძე

„ჩვენ, ლეჩხუმელები, თანდათან გაძლიერდებით"

(დასასრული)

ტია და ოპოზიცია ჩააყენა თანაბარ პირობებში. პრეზიდენტის აზრით, თუ მყარია ჩვენი პოზიციები, ის ერთ თვეშიც გამოჩნდება. ეს შეეხება ოპოზიციასაც. ვნახოთ! ხალხი თუ გადახედავს გონივრული თვალით პოლიტიკურ სპექტრს, აირჩევს იმ ძვრებს, რასაც დღეს ხედავს. ხალხი ხედავს იმასაც, რომ ციხეებში იყო ბუნტი და ყველა ოპოზიციური პარტია მხარს მათ უჭერდა, ბუნტი იყო კოდორში და მხარდაჭერა აქაც გამოხატეს. რაღაც ასეთი ტენდენცია აიღო ოპოზიციამ—ცუდი მოხდება და იქვე უნდა გაჩნდნენ. საინფორმაციო გამოშვებების უმრავლესობაც იწყება სისხლით, ძალადობით, რათა ხალხში გააღვიძონ ზიზღი, სიძულვილი ამ ხელისუფლების მისამართით. ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ იდეალური მთავრობა ვართ, შეცდომები ჩვენც გვაქვს, მაგრამ ამაზე მთელი პოლიტიკური კარიერის გაკეთება ხომ არ შეიძლება? ე.ი. სუსტი ოპოზიცია გვყავს. ამას ლუჩხუმი ამომრჩეველიც კარგად ხედავს. მე ცაგერში არსებულ ოპოზიციურ პარტიებზე არ ვიძახი ამას, მე უფრო მათ ლიდერებს ვგულისხმობ. ცაგერში ბევრჯერ შემოგვთავაზეს სახელმწიფო უწყებებიდან საფინანსო პოლიციის შემოყვანა, რათა ზოგიერთებს თავიანთი წარსული გაეხსენებინათ, მაგრამ ჩემი დაჟინებული თხოვნით, ეს არ განხორციელდა. რატომ? იმიტომ, რომ ლეჩხუმი პატარა კუთხეა და ყველა ერთიმეორის ნათესავები ვართ, აქ ყველაფერი ჯაჭვივი ებმის ერთმანეთს და ამიტომაც მოვერიდე ამ ნაბიჯს, და დღემდე ასე ვარ.

წინასაარჩევნოდ დიდი ფულის ხარჯვა მიდის ოპოზიციური პარტიებიდან. კარგად დააკვირდით და მიხვდებით, რომელი ოპოზიციური ლიდერი ვისი კაცია. საქართველოდან დიდი ფულია გადინებული, წასული, ეს ფული რომ დაიცვან და გაიქცენ, შემდეგ კი ისევ ჩვენს ხარჯზე იცხოვრონ, სწორედ აი, ამაზე მიდის მათი ზრუნვა. ფულსაც ბევრს დაარიგებენ, მაგრამ ამით ახლა აღარავინ მოტყვილდება. ლეჩხუმელ ხალხს გამჭრიახობა ნამდვილად ეყოფა არჩევანის გასაკეთებლად. მე კიდევ ერთხელ მინდა ვახსენო ის პერიოდი, როცა ქუჩებში ხალხის მძარცველი პოლიციელები იდგნენ და მალე ეს სისტემა პატრულით შეიცვალა. იგივე ჯანდაცვა, განათლების სფერო, აქაც უდიდესი ცვლილებები განხორციელდა. ავიღოთ თუნდაც უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესები. უნივერსიტეტის რექტორატი რეფორმის წინააღმდეგ გამოდიოდა იმიტომ, რომ ისინი ფულს იღებდნენ და ჩვენი შვილები ხარჯზე იწყობდნენ იდილიურ ცხოვრებას. ახალი რეფორმით კი გასაქანი მხოლოდ ცოდნას მიეცა. ბევრ ინსტიტუტში ამას გაგებით შეხვდნენ. ჩვენ რატომღაც მივეჩვიეთ იმას, რომ ნებისმიერ სიახლეს, რომელსაც ხელისუფლება შემოგვთავაზებს, ტკივილით უნდა აღვიქვათ, არ მოგეწონს, რადგან წლების მანძილზე მიჩვეული ვიყავით ერთი და იგივე უმოქმედო პოზიციაში ყოფნას.

—ჩვენ თვითმმართველობის არჩევნებს შეეხეთ. თქვენ ალბათ ყველაზე უკეთ გესმით, რომ მისი შედეგები პირდაპირ პროპორციულ გავლენას ახდენს მომავალ საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე. გეგმავთ თუ არა ძირეულ ცვლილებებს და რა სიახლეებია?

—გაგმგებელის ინსტიტუტი აღარ იქნება, ყველა საკრებულოში არჩეულ იქნება მაჟორიტარი დეპუტატი და წარმომადგენლობა ხალხსა და თვითმმართველობას შორის. ცვლილებები ბევრი იქნება, ჩვენ ყველა საკრებულოს გამგებელს ვაძლევთ შანსს იყაროს კენჭი. ჩემი პირადი სიმპატიით არც ერთ კანდიდატურას არ წარვადგენთ, დავეყრდნობით ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ინტერესებს. ყველასთან ვითანამშრომლებთ... გარდა ამისა გვაქვს პარტიული, პროპორციული სია, დახლოებით 15 კაცის შემადგენლობით და იგი ისე გონივრულად იქნება შერჩეული, იმედი მაქვს ყველა მოხვდება მმართველობაში, საკრებულოში. ეს იქნება ლეჩხუმის პატარა, მინი პარლამენტი, რომელიც ყველა საკითხის გადაწყვეტაში ქმედით უნარიანად მიიღებს მონაწილეობას. ასე რომ, ეს იქნება უშეღავათო არჩევნები.

—თქვენ, როგორც მმართველი პარტია, როგორ ძალას უჭერთ მხარს, როგორი ძალა გინდა იხილოთ ლეჩხუმის საკრებულოს შემადგენლობაში?

—ჯანსაღი, ლეჩხუმის მოყვარული ძალა, ბოღმისგან განთავისუფლებული პიროვნებები, ყველას ერთმანეთი უნდა უყვარდეთ. მე ამიტომაც კიდევ ერთხელ ვთხოვ ჩვენს ამომრჩეველს, კარგად დაფიქრდეს და სწორი არჩევანი გააკეთოს!

—კულუარული ინფორმაციით ვიცით, რომ როცა თქვენ პრეზიდენტთან ერთად საჩხერის ბაგალიონში იმყოფებოდით, დააყენეთ ლეჩხუმისათვის საჭირო სასიცოცხლო საკითხები. დაინტერესდა თუ არა ბატონი პრეზიდენტი ამ თემებით და არის თუ არა შესრულების პერსპექტივა?

—ამ თემაზე ასეთ მოკლე კომენტარს მოგცემთ: ეგ რომ ნამდვილად ასე იყო, პრეზიდენტის გამოსვლაში (შეხვედრიდან მეორე დღესვე) გამოჩნდა. დანარჩენი ლეჩხუმელმა ხალხმა განსაზღვროს!

—თქვენ მაქსიმე აღმსარებლის ფონდის წევრიც ბრძანდებით. მეუფე სტეფანესთან არაერთხელ გქონიათ შეხვედრა ამ თემაზე. რაიმე წინსვლა და სიახლე ხომ არ არის და რა წვლილი შეგიძლიათ შეიტანოთ ტაძრის მშენებლობაში და ფონდის აღორძინებაში?

—ბევრს ვერაფერს გეტყვით. როცა ეს საზოგადოება დაფუძნდა, დაემთხვა ისე, რომ საქართველოში არ ვიმყოფებოდი. მე მჯერა, რომ მალე ჩავებმები ფონდის წევრებთან ერთად აქტიურ საქმიანობაში, ამაზე მეუფე სტეფანესთანაც მქონდა საუბარი, მთავარია, ჩვენ გვაღიარეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, რადგან იმაზე დავა აღარ მიდის, არის თუ არა ამ წმინდანის საფლავი ლეჩხუმში, არამედ იმაზე, როგორ წავიწიოთ წინ. ლეჩხუმში დიდი მადლი დევს და აქედან გამომდინარე მე მჯერა, რომ ცოტა ხანში ლუჩხუმს ბევრი მლოცველი მოადგება, თანდათან გაძლიერდებით!

ყველა ლეჩხუმელს მოვუწოდებ, რომ ჩაერთონ ამ ფონდის საქმიანობაში და ყველა მათგანს ვულოცავ 26 აგვისტოს უდიდეს დღესასწაულს და ივერიის ღვთისმშობლის ხატის შემობრძანებას!

გმადლობთ!

მარინა სვანიძე

უჯველესი ადამიანი დღემდე

დავით კოპალიანი

ქართველების წინაპარი ტომების და მათ შორის ლეჩხუმელების ეთნოგენეზი ხანგრძლივი და რთული ისტორიული პროცესია.

ქართველთა ეთნოგენეზიის შესახებ მკვლევართა სხვადასხვა შეხედულებები არსებობს. არ არის ერთი აზრი ქართველთა პირველადი სამშობლოს შესახებაც. ივანე ჯავახიშვილი და მისი მომხრეები თვლიან, რომ ქართველთა წინარე სამშობლო მდებარეობს შეუამდინარეთში და მცირე აზიაში, საიდანაც ჩვენი წინაპრები 4-5 ათასი წლის წინ კავკასიაში გადმოსახლდნენ. თანამედროვე ქართველ ისტორიკოსთა დიდი უმრავლესობა ამ აზრს არ იზიარებს და მიიჩნევენ, რომ ქართველები კავკასიის მკვიდრი ავტოქტონური მოსახლეობაა. ამას დღეს თვალნათლივ აღასტურებს დმანისის არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილი ადამიანის თავის ქალის და ქვედა ყბის ნაწილები.

ფაქტია, რომ ძველი წელთაღრიცხვის 2 ათასწლეულის დასაწყისამდე ჩვენი წინაპრები ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ, რომელსაც პირობითად პროტოქართველურს უწოდებდნენ, ხოლო ხალხს პროტოქართველებს.

დაახლოებით ძვ. წელთაღრიცხვით XX საუკუნიდან დასავლეთ კავკასიონის მაღალმთიან იზოლირებულ ხეობებში მცხოვრები პროტოქართველების სალაპარაკო ენა თანდათან სცილდება საერთო ენას და საფუძველს უდებს ჯერ სვანურს და უფრო გვიან მეგრულ-ჭანური ენების და სუბეთნოსების ჩამოყალიბებას, ასევე ცალკე ჩამოყალიბდა მესამე ყოველმხრივ მრავალრიცხოვანი ქართების სუბ ეთნოსი.

მკვლევარები მიიჩნევენ, რომ გვიან ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში დაიწყო ქართების მიგრაცია დასავლეთ საქართველოსაკენ, რასაც თან მოჰყვა სვანებისა და ქართების შერწყმა და წარმოიშვა ლეჩხუმლების და რაჭველების ეთნოგრაფიული ჯგუფები და სხვა...

ბოდიშს ვუხდი გარდაცვლილ და ცოცხალ ჩვენ სახელოვან ისტორიკოსებს, მკვლევარებს, მაგრამ ბოლოს აღნიშნულ საკითხზე განსხვავებული აზრი გაგვაჩნია.

ლეჩხუმი, რაჭასთან ერთად თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ბუნებრივი პირობებით, განსაკუთრებით პირველყოფილი და შემდგომი პერიოდის ადამიანების ცხოვრებისათვის დასავლეთ საქართველოში გამორჩეული იყო, როგორც მეურნეობის მითვისებით (ადამიანი ნადირობით და შემგროვებლობით ირჩენდა) ასევე მწარმოებლური მეურნეობის (მიწადმოქმედება, მევენახეობა, მეცხოველეობა მეტალურგია) ფორმებით. ამის დასადასტურებლად მოგახსენებთ შემდეგს.

ლეჩხუმი მდებარეობს: რიონ-ლეხინდრის შესართავთან, ზედა ტვიშის, ნაკურალეშის და ზედა ზუბში კარგად ჩანს ნეოლითური ხანის ნასახლარები, მოპოვებულია ანთროპოგენური მდიდარი ნივთიერი მასალა. ქვისა და კაჟის ნივთები, რომლებიც შესწავლილია მკვლევარების მიერ. ქვის ხანის ლეჩხუმური მდიდარი მასალა დაცულია ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ძველი წელთაღრიცხვის ორი ათასწლეულის შუა და გვიან პერიოდში ლეჩხუმში ბრინჯაოს წარმოების ათი კერა არსებობდა, რომლებიც მოკვლეული და შესწავლილია. მოპოვებულია ბრინჯაოს ზოდები, უამრავი საბრძოლო ცულები, შუბის წვერები, სამეურნეო იარაღები, საოჯახო და საკულტო ნივთები, სამკაულები და რაც მთავარია ბრინჯაოს მხედარი ცხენი თავის მორთულობით და მხედარი თავის ჩაცმულობით, რომელიც მთელი ისტორიაა. არის პურის სამკელი ბრინჯაოს ნამგლები. ამასთან იშვიათობას წარმოადგენს ლეჩხუმური ხორბლის ენდემური ჯიშების მახასა და ზანდურის საკრეფი საშუალება „შნაკვი", რომელიც მთელს დედამიწაზე მხოლოდ ჩვენთან იყენებდნენ. ამას ყურადღება მიაქცია და მსოფლიოს გააცნო აკადემიკოსმა ვავილოვმა. ე. ი. ლეჩხუმში ისე როგორც საქართველოს ბევრ ადგილას ბრინჯაოს წარმოებას, მევენახეობას, ხორბლის თესვა-მოყვანას, მესაქონლეობას აქ მცხოვრები ჩვენი წინაპარი ტომი უხსოვარ დროიდან, დაახლოებით 3000-4000 წლების წინათ მისდევდა. ეს გვეუბნება, რომ აქ იმ დროისათვის სათანადო რაოდენობის მოსახლეობა ცხოვრობდა ამგვარი უპირატესობა, ცხადია გამოიწვევდა აქაური ტომის დაწინაურებას.

აქედან გამომდინარე ვსვამ კითხვას პროტო ქართულ ერთერთ ძირძველ ტომის არსებობასთან ხომ არ გვაქვს საქმე იმ დროის ლეჩხუმში? ალბათ კი.

ლეჩხუმის სინამდვილეში ტოპომანების გვარების ერთი ნაწილი სვანური წარმომავლობის რომ არის ეს სადაო არ არის, ეს შედეგია იმისა, რომ ქვისა და ბრინჯაოს პერიოდების შემდეგ, გვიან ძველი წელთაღრიცხვის ბოლო ათწლეულში არსებობდა დიდი სვანეთი, რომელიც დაპატრონებული იყო დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს და მათ შორის ლეჩხუმს და რაჭას. აქედან შემორჩა ლეჩხუმ სვანური ტოპონიმები და ზოგიერთი სვანური გვარი.

ე. ი. უნდა ვიფიქროთ, რომ მოსული სუბეთნოსების ქართების და სვანების შერწყმით კი არ წარმოიშვა ლეჩხუმური ეთნოსჯგუფი, არამედ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი წინაპარი ერთერთი ძირძველი იმ დროისათვის კარგად განვითარებული ტომისაგან, რომელსაც შემდგომ საუკუნეებში შეერივნენ მოსულებიც, მოხდა მათი ასიმილაცია, ლეჩხუმელებმა მისი არსებობის ისტორიის მანძილზე შექმნეს სვანებისაგან და ქართებისაგან განსხვავებული ორიგინალური, მაგრამ მაინც ქართული, ეთნოგრაფია, ფოლკლორი საკუთარი არქიტექტურული დეტალები, კილოკავები, წესჩვეულებები და სხვა. შედარებით უკეთესი ბუნებრივი პირობების გამო სვანების ლეჩხუმში ჩამოსახლება ახლაც გრძელდება, კეთილი მისიით საუკუნეების მანძილზე სვანების და ქართების შემოსვლით ლეჩხუმელები არც გასვანდნენ და არც ქართებად გარდაიქმნენ. მათგან კარგი შეიძინეს და თავისი კუთხური განავითარეს. აქ საცხოვრებლად დარჩენილი სვანები და სხვა ტომთა წარმომადგენლები კი ყველა გალეჩხუმელდა და შემდეგ ყველა ქართველებად ჩამოვყალიბდით.

ახალი წელთაღრიცხვის VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი ლეჩხუმს „სკვიმნიის" სახელით მოიხსენიებს და აღნიშნავს „მჭიდროდ დასახლებული მხარეაო".

დიდად საყურადღებოა ფაქტი, რომ VII საუკუნეში 662 წლის ზაფხულში, მჭიდროდ დასახლებულ ლეჩხუმს შეემატა კონსტანტინეპოლიდან იძულებით გადმოსახლებული

(გაგრძელება გვ. 5)

დემოგრაფიული მდგომარეობა ლეჩხუმში

დიოფიზიტური მოძღვრების ერთერთი შემომქმედი და მისი დამცველი და გამავრცელებელი და ამისათვის მორალურად და ფიზიკურად სასტიკად ნაწამები, აწ წმინდანად შერაცხული მაქსიმე აღმსარებელი და მისი მოწაფეები ძმები ანასტასიები. დღეს წმინდანის მაქსიმეს დღეა, დღევანდელ დღეს 26 აგვისტოს გარდაიცვალა მაქსიმე აღმსარებელი ლეჩხუმში და განისვენებს წმინდა ადგილას მურში. ლეჩხუმს და მთელს საქართველოს უფალმა მოგვივლინა ეს დიდი წყალობა, რისთვისაც მადლობას ვწირავ ღმერთს.

მონღოლთა მიერ მოსახლეობის აღწერის ცნობების საფუძვლეზე XIII საუკუნეში ლეჩხუმში დაახლოებით 4050 კომლი ყოფილა, თუ ჩავთლით, რომ კომლში მხოლოდ 5 სული ცხოვრობდა გამოდის, რომ იმ დროისათვის ლეჩხუმში 20-25 ათასი კაცი ცხოვრობდა.

XIII საუკუნიდან ცნობილი მიზეზების გამო საქართველოში კატასტროფულად მცირდებოდა მოსახლეობის რიცხვი. ამ მხრივ ზოგიერთი მთიანი რაიონი და მათ შორის ლეჩხუმი გამონაკლისს წარმოადგენდა. პროფესორ კაკაბაძის გამოანგარიშებით XVI საუკუნის შუა წლებში ლეჩხუმში მცხოვრებ კომლთა რაოდენობა იგივეა, რაც იყო XIII საუკუნეში.

ხელშესახები ცნობები არსებობს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ლეჩხუმის მოსახლეობის შესახებ. რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლის იანივსკის ცნობით სამეგრელოს სამთავროში 1770 წელს 100 000 სული ცხოვრობდა მათგან საღამქროდ გამოდიოდა 6 ათასი მებრძოლი, ამათგან 1500 ლეჩხუმიდან იყო. (ლეჩხუმი სამეგრელოს სამთავროში შედიოდა) ე.ი. ლეჩხუმში იმ დროს ცხოვრობდა 24-25 ათასი მცხოვრები ამას ადასტურებს მოგზაური გულდენშტენდიც.

XIX საუკუნის დამდეგიდან, რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ, გარეშე მტრების შემოსევების შინაშლილობის შეწყვეტის და გარკვეულად ეკონომიურად მოსახლეობის პირობებს გაუმჯობესების შედეგად ქვეყანაში, ასევე ლეჩხუმში დაიწყო მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მატება. 1897 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მასალების მიხედვით ლეჩხუმის მაზრაში (ქვემო სვანეთიც შედიოდა) სულ ცხოვრობდა 47779 კაცი. აქედან ლეჩხუმელი 31,806 სვა-

რეზონანსი

ისევ ახალქალის შესახებ

ახალქალის აღორძინებაზე სერიოზულად დაისვა საკითხი ჩვენს გაზეთში, რამაც სათანადო რეზონანსი გამოიწვია. ამ ზაფხულს განსაკუთრებით ვიგრძენით ახალქალის აუცილებლობა გაუსაძლისი სიცხეების გამო. ბევრმაც დაისვენა, თუმც იქ არანაირი დასასვენებელი პირობები არ არის.

მოდით და თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარი თავიდან დავიწყოთ ახალქალას განაშენიანებისათვის ზრუნვა. ის მაინც ხომ შეგვიძლია გავუფრთხილდეთ აგარაკის ტერიტორიას, არაფერი დავაზიანოთ, აღარაფერი მოვჭრათ. პირიქით, შაბათობები მოვაწყოთ, დავასუფთაოთ, შემოვაკავოთ ტერიტორია. ერთი სიტყვით, მთავარია გულთან მოვიტანოთ, რომ ეს ჩვენი დასასვენებელი ადგილია, ჩვენი შვილების ჯანმრთელობის კერაა.

თუ მოვინდომებთ, ახალქალა მომავალი სეზონისათვის მაინც შეგვიძლია ელემენტარულად მოვაწესრიგოთ.

ტ. ფუტკარაძე

სოფ. სანორჩი.

ერთი დღე ბორჯომში

30 აგვისტოს საპრეზიდენტო პროგრამით „პრეზიდენტის საჩუქარი ბავშვებს" ახალგაზრდული დეპარტამენტის ეგიდით (ხელმძღვანელი თამილა ჭაბუკიანი) ლეჩხუმიდან 100 ბავშვი გაემგზავრა ბორჯომში.

პროგრამა ითვალისწინებდა ერთდღიან მოგზაურობასა და გართობას ბორჯომის ახლადგახსნილ პარკში. სპეციალურად ამ დღისათვის გამოგზავნილი იქნა უცხო მარკის ავტობუსი, რომლის გამოჩენამ, ჯერ კიდევ აქვე, რაიონის ცენტრში შეუქმნა პატარებს ემოციური დატვირთვა. სიხარულსა და აღტაცებას ვერ მალავდნენ. სწორედ, ამ გრძნობით აღსავსენი აღმოჩნდნენ დანიშნულების ადგილზე, სადაც პატარებს უამრავი სიურპრიზი ელოდათ.

ბავშვები გაერთნენ სხვადასხვა ატრაქციონებით. თითოეულს დაურიგდა ერთ ჯერზე მისაღები საკვები, კოკა-კოლა და ა. შ.



უკან მობრუნებულებს ერთმა შემთხვევამ დაგვაბრკოლა, ჩვენი გზებით შეშინებულმა მძღოლმა ცაგერში ამოსვლაზე უარი განაცხადა და იძულებული გავხდით ჩვენი ძალები გამოგვეყენებინა. რისთვისაც უდიდეს მადლობას მოვახსენებთ ცაგერის საგზაო სამმართველოს საბჭოს თავმჯდომარეს გია სვანიძეს. ყურადღებისათვის და გვერდში დგომისათვის.

ეს ინციდენტი კი იმ წუთების შემდეგ აღარავის ახსოვდა დატვირთული დღის შთაბეჭდილების ფონზე.

ეკა ყვირილიანი.

ეს ერთი დღე...

ტელეარხ „იმედის“ გადაცემამ „ეტალონი“ კარგა ხანია დაიპყრო არა მარტო ბავშვი არამედ საკმაოდ სერიოზული მაყურებლის გულები.

რაოდენ სასიხარულო იყო ჩვენთვის, როცა შევიტყვეთ, რომ ამ გადაცემაში მონაწილეობა მიიღო ლასურიაშის საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლემ თორნიკე ჭაბუკიანმა, თუმც აქვე დანანებით აღვნიშნავთ იმასაც, რომ ლეჩხუმელთა უმეტესმა ნაწილმა ვერ იხილა გადაცემის ეს ნაწილი, იმ მიზეზის გამო, რომ ცაგერში „იმედის ტელეარხის ჩვენება შეწყვეტილი იყო.

თორნიკეს რედაქციაში მოსვლა ვთხოვეთ და ისიც სიამოვნებით გვიყვება გადაცემაში მონაწილეობის დეტალებს:

„ძალიან მაინტერესებდა ამ გადაცემაში მოხვედრა. დავიწყე გზების ძიება, დავწერე თემა პატრიარქისა და საპატრიარქოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში—„პრობლემა ნარკომანია“—როცა დუმილი არ გვეკადრება.“ გავაკეთე ჩანახატი რომელიც ასე დავასათაურე—„საკანში.“ ჩემი ნაშრომი მოხვდა საკონკურსო ათეულში. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ჩემი პედაგოგის, ლასურიაში საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ნანა კენჭაძის დამსახურება და ასევე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო მას. ათი კონკურსანტიდან მხოლოდ სამს ჰ ქონდა თემა, დანარჩენი იყო ნახატები და ვიდეოფირი. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ ისეთი კომპენტენტური პირები, როგორებიც არიან მურღულია, ფეტვიაშვილი, ჩემი თემა კი გასწორდა ისეთი დიდი მწერლის მიერ, როგორიცაა გურამ დოჩანაშვილი. პროფესორმა გუგუშვილმა ხმამაღლა აღიარა—არ ვაპირებდით რეგიონებიდან ბავშვების ჩამოყვანას, მაგრამ ეს ისეთი თემა იყო, გვერდი ვერ ავუარეთო.“ ჩვენ „იმედის, რედაქციაში შევავსეთ ანკეტები, დარიგდა ნომრები, შეგვიყვანეს სტუდიაში, არანაირი შეზღუდვა, ტელეკამერები წინ არ მქონია, პულტების მართვასაც კარგად გავართვი თავი. წამყვანმა, გოჩა ტყეშელაშვილმა, საკმაოდ რთული შეკითხვები დაგვისვა ისტორიიდან და რელიგიიდან, თავიდან მართლაც გამიძნელდა პასუხების გაცემა, თამაშის წესების კარგად გააზრებაც ვერ მოვასწარი, პირველი და მეორე ტური წარმატებით გავიარე. მეტი ველარ შევძელი, ერთადერი ქულა დაგაკლდა და ისიც თამაშის წესების უცოდინარობის გამო არც ხელცარიელი წამოვსულვარ, დამაჯილდოეს ბიბლით და დიპლომით. ისევ ვაპირებ გავაგრძელო მუშაობა, კიდევ მივიღო მონაწილეობა, მთელი სამი წელი წინაა. ერთი პრობლემაც მიდგას—კუპონების გაგზავნა მიჭირს, ჩვენთან ხომ არ დგას „კვირის პალიტრის“ ყუთები, არადა რამდენი ლეჩხუმელი ბავშვი მიიღებდა მონაწილეობას...

...ჩვენი [illegible] ახალგაზრდობა

ჩვენ ისლა დაგვრჩენია, წარმატებები ვუსურვოთ თორნიკეს სწავლასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მარინა სვანიძე

ამ ტემპით საეჭვოა, რომ მშენებლობა ოქტომბრისათვის დასრულდეს

განათლების სფეროში რეფორმები სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ამ რეფორმებში არსებითი სკოლების მატერიალურ—ტექნიკური ბაზაა. სახელმწიფომ მოამზადა სკოლების საყოველთაო რეაბილიტაციის პროგრამა „იაკობ გოგებაშვილი,“ რომლის მიზანი 2006-2007 წლებში ქვეყნის ყველა სკოლის რეაბილიტაციაა—2008 წელს საქართველოს ყველა სკოლას ექნება გამართული ინფრასტრუქტურა, სახურავი, კარ-ფანჯარა.

სახელმწიფოს მიერ მომზადებულმა პროგრამამ ლეჩხუმამდეც მოაღწია და ახლა ჩვენს სკოლებშიც მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები.

თუ როგორ მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, არის თუ არა პრობლემები, როდისთვის ვარაუდობენ რემონტის დამთავრებას? ამ და სხვა კითხვებით ცაგერის საჯარო სკოლის დირექტორს ქალბატონ ნუნუ ჩაკვეტაძეს და სარეაბილიტაციო სამუშაოების ორგანიზატორს ჯეირან მურცხვალაძეს მივმართეთ.

რესპოდენტებმა სახელდახელოდ შეჭედილ ფიცრულში მიმიწვიეს. ფიცრულში, საიდანაც ნუნუ მასწავლებელი სკოლის ორივე შენობას, ხელისგულივით უყურებს და დილიდან საღამომდე თვალს არ აშორებს აქ მიმდინარე მოვლენებს.

საუბარი იმით დაიწყო, რომ როცა ცნობილი გახდა ცაგერის საჯარო სკოლა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის „იაკობ გოგებაშვილი—საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია“ ფარგლებში განსახორციელებელ სარემონტო—სამშენებლო სამუშაოები ჩაისვა, სკოლის პედაგოგიური, მშობელთა და მოსწავლეთა კოლექტივები მთელ საზოგადოებასთან ერთად კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ იმაში, რომ საქართველოს მომავალი თაობა ქმნის გარემოს, რომლითაც ქართველი ახალგაზრდა ცოდნით თვისი თანატოლი ევროპელის დონისა უნდა იყოს. ამასთან სკოლის შენობის დემონტაჟმა ცხადყო, რომ ღვთის ნება ყოფილა უბედური შემთხვევა რომ არ მოხდა და არ ჩაინგრა II კორპუსის საკლასო ოთახების ჩატეხილი კოჭები, იატაკი, მწყობრიდან გამოსული სახურავი.

მადლობას უხდის ყველას, ვინც იზრუნა იმისთვის, რომ სკოლის მოსწავლეები საქართველოს იმ 300 000-მდე მოსწავლეთა შორისაა, რომელიც წელს უკეთეს გარემოში ისწავლის.

როგორც გვაუწყა, სარაებილიტაციო სამუშაოები ნელი ტემპით მიმდინარეობს, რამაც რეალური საშიშროება შექმნა, რომ სკოლის მშენებლობა დადგენილ დროში ვერ ჩაეტევა. დღეის მდგომარეობით შესრულებულია სახურავის მონტაჟი, ელექტრო სისტემის ნაწილობრივ მონტაჟი, მომთავრების პროცესშია შიგნითა ფასადის შეღებვა, ღობის მონტაჟი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული 410 587 ლარიდან განათლების სამინისტროს ექსპერტმა ჩატარებული სამუშაოების ფაქტობრივი შესრულება აღნიშნა 32 504 ლარით.

პრობლემები არის განათლების სამინისტროსა და ფირმა „ამაღლების“ ხელმძღვანელებთან, რომელიც აწარმოებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს ცაგერის საჯარო სკოლაში. ეს პრობლემები უკავშირდება სატენდარო წინადადებებს. როგორც ირკვევა, ტენდერი აღნიშნულმა ფირმამ მოუგო სამშენებლო პროცესის განხორციელების ფასის დადგენით და ახლა ეს ფასი არ ყოფნის ამ პროცესს. აღმოჩნდა ბევრი გაუთვალისწინებელი სამუშაო ჯერ-ჯერობით თანხების დამატება არ მომხდარა.. ფერხდება სამშენებლო მასალების მოწოდება ხშირად არიან მუშები გამცდარი. ქალბატონი ნუნუ სკოლის მშენებლობის მიმდინარეობით აშკარად უკმაყოფილოა. პირადად უხდება დაკავშირება ფირმის ხელმძღვანელებთან თითქმის ყოველ დღე—თუ რა შემოაკლდათ, რა არარის, ხვდება მუშებს, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ვერ ღებულობენ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებას და ა. შ.

განსაკუთრებული პრობლემა შეიქმნა ხის მასალის რგვლივ. წარმოიდგინეთ სად არ გადაიოდა და ალბათ ახლაც გადის ჩვენი რაიონიდან მასალა და სკოლის საჭიროებისათვის დიდი წინააღმდეგობების გადალახვა სჭირდება სამუშაოს მწარმოებელს, ზოგჯერ სასამართლომდეც მიდის საქმე. ექსპერტმაც ნახა, რომ მეორადი ხის მასალები იქნა გამოყენებული—აქვე სვამ კითხვას—რა უნდა ვქნათ? 67 $გ^3$ მასალა ისიც ხმელი. დღეს ლეჩხუმში ისეთი სიტუაციაა ხის ირგვლივ, რომ ამხელა მასალას ვერ მოიპოვებ ვერც სახელმწიფო და ვერც კერძო სტრუქტურისაგან. მიზანშეწონილი იყო თვითონ ფირმას შემოეტანა იგი. ამიტომაცაა, რომ ყველა სამუშაო, რომელიც ხის მასალასთანაა დაკავშირებული, ნელი ტემპით მიმდინარეობს. სამუშაოს აფერხებს თანხების ჩაურიცხაობაც,

სარეაბილიტაციო სკოლებში სწავლა ოქტომბრის დასაწყისისათვის გადაიდო. ამ დროში ჩატეევა მშენებელი, თუ საჭირო მასალებს და თანხებს დროზე მიაწოდებს დამქირავებელი, სწავლაც რემონტის დასრულების შემდეგ დაიწყება. სკოლა მიიღებს ახალ ავეჯს, კაბინეტ-ლაბორატორიებს. მშობელს აუწყებს, რომ ყოველი გადავადებული დღის ანაზღაურება მოხდება 6 დღიანი სახელშეკრულებო სამუშაო კვირით. ე. ი. ბავშვები ისწავლიან შაბათსაც. სახელმწიფო აფინანსებს მოსწავლეებს, რომელიც კარგად აქვს გათავისებული სკოლის ხელმძღვანელობას და მას ერთ საათსაც არ დააკლებს იმ ცოდნის, უნარ-ჩვევების შეძენას და პრაქტიკულად გამოიყენებს, რაც ერთიანი ეროვნული გეგმითაა გათვალისწინებული.

ქალბატონი ნუნუ მადლობას უხდის საქართველოს პარლამენტის წევრს ბატონ ვალერი გიორგობიანს, რომელიც დაინტერესებულია სკოლის ცხოვრებით, არა ერთხელ გამომჟღავნდა პრაქტიკული საქმით. ამ დღეებში ადგილზე გაეცნო სარაებილიტაციო სამუშაოებს. დღეს უკვე თბილისში ხვდება ფირმა „ამაღლების“ პრეზიდენტს ბატონ დავით სიხარულიძეს და იმედია ბევრ პრობლემას მოაგვარებს სამინისტროსთან უშუალო თანამშრომლობით.

სასკოლო მშენებლობები

მადლობას უხდის აგრეთვე მხარის გუბერნატორს ბატონ ოთარ სირაძეს, გამგებელს ბატონ ვახტანგ კერესელიძეს, მოადგილეს კახა კოპალიანს, რომლებიც დახმარებას ჰპირდებიან სკოლას.

ქალბატონმა ნუნუმ ამომწურავად ისაუბრა და დასასრულს კითხვით მიმართა ჯეირანს —მეთანხმებით თუ არა ამ საკითხებზე? პასუხმაც არ დააყოვნა—დიახ, ქალბატონო ნუნუ! თქვენ ყველაფერი სწორად ჩამოაყალიბეთ!

ბატონმა ჯეირანმაც გამოთქვა თავის მოსაზრება ამ საკითხების ირგვლივ და აშკარა იყო, რომ სკოლის ხელმძღვანელს და სარებილიტაციო სამუშაოების ორგანიზატორს შორის შეუთანხმებელი არაფერია, ისიც უკმაყოფილოა მუშაობით, სამუშაო მასალის არასრული დატვირთვით, იმედოვნებს რომ სკოლის მშენებლობა 20-25 სექტემბრისთვის დასრულდება, რაც სამუშაოს ტემპიდან გამომდინარე შეუძლებელია, მაგრამ მისივე თქმით იმ შემთხვევაში, როცა სამშენებლო ობიექტზე იქნება ყველა საჭირო მასალა შემოტანილი, შეიძლება მობილიზაცია გაუკეთდეს საჭირო რაოდენობის მშენებელ სპეციალისტებს. ამჟამად მუშახელი საკმარისია, ყველა თავისი საქმის კვალიფიციური სპეციალისტია. მუშების ანაზღაურება ხდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით, თუმცა ცოტა დაგვიანებით.

„ჩემი სკოლა ჩემი სიამაყე“ ამ სიტყვებით იწყებოდა ჩემი სასწავლო დღე ამ სკოლაში მთელი 11 წელიწადი, ემახსოვრება ჩემს თაობას სკოლის ჭიშკართან თეთრი ტრაფარეტი დიდი ლურჯი ასოებით. ათი წელი გავიდა, რაც ეს სკოლა დავამთავრე, 10 წლის შემდეგ პირველად ისევ სიამაყით შევდგი ფეხი ჩემი სკოლის ეზოში, ახლა უკვე სამსახურებრივი მოვალეობით. ჭიშკრიდან სულ 20-ოდე ნაბიჯი მაშორებდა ჩემს რესპოდენტებს, თუმცა მეყო ეს მანძილი 11 ბედნიერი წლის გასახსენებლად. თვალებით ვეფერებოდი იქაურობას და ყველაზე დიდ სიამოვნებას ის მანიჭებდა, რომ სულ მალე ამ ქათქათა, ევროპულ დონეზე მოწყობილ სკოლაში ჩემი შვილი წავა და როგორც მე ისიც არა ერთხელ იტყვის „ჩემი სკოლა ჩემი სიამაყეა.“

P. S. ბოლო დღეებში თითქმის არაფერი შეცვლილა. მშენებლობის ტემპით საქმე ისე მიდის, რომ ჩვენს შენობაში სწავლა ოქტომბერშიც არ დაიწყება, ამიტომ ქალბატონმა ნუნუმ სამინისტროსთან შეთანხმებით გადაწყვიტა სწავლა დაიწყოს პირველ ოქტომბერს. პედაგოგები და მოსწავლეები ქალაქის სხვადასხვა შენობებში დაანაწილეს.

დიდი პრობლემაა ისევ ხის მასალის ირგვლივ, ჯერ კიდევ ვერ გამოინახა საჭირო რაოდენობის მასალა სკოლისათვის. მინდა ვთხოვო ყველას, ვისაც ოდნავი წვლილის შეტანა შეუძლია ჩვენი სკოლის მშენებლობაში, ვეცადოთ ღია ცის ქვეშ არ დავტოვოთ ბავშვები, მაშინ როცა, წელს ეროვნული გამოცდები ცაგერის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულების უმრავლესობამ წარმატებით გაიარა.

ეკა ბენდელიანი

პრემიერა

ახალი სპექტაკლი, გადაჭდილი დარბაზი და... აპლოდისმენტები

„თეატრი ლაბირინთია. მისი კარები უცებ იღება, უცბადვე ჯახუნით იხურება და... შენ უკვე, თითქოს ხაფანგში ხარ გაბმული. თუ იმის ნიჭი და უნარი გაქვს მომადლებული, რომ განაგრძო მისი შენება, უსაზღვრო ბედნიერება გელის, მაგრამ თუ მასში ჩაიკარგები და არაფრის მაქნისი, არც არავისთვის საჭირო აღმოჩნდები–დაიღუპები“–ეს სიტყვები უდიდეს რეჟისორს მიეხილ თუმანიშვილს ეკუთვნის და სულ არ მინდა ბოლო სიტყვებს ყურადღება მიაქციოთ. აუცილებლად უნდა ამოვთქვა, გამოვხატო ის, რაც ამდენი ხნის მანძილზე ჩემს (და არა მარტო ჩემს) არსებაში დაგროვილა. მაგრამ ეს ცოტა მოგვიანებით.

ცაგერის თეატრს დიდი ისტორია აქვს. მის სცენაზე ბევრ ნიჭიერ, პროფესიონალ მსახიობს უთამაშია. ბორის ხეცურიანს, გრიგოლ მდივანს, ბაბუცა ბაქრაძეს, ნინო ჩიკვაიძეს... და არაერთი სპექტაკლი ახსოვს ლეჩხუმს მათი მონაწილეობით შესრულებული. მაგრამ ეს იყო წარსულში... წარსული კი მართლაც მდიდარი იყო. მას შემდეგ დიდმა ხანმა განვლო. იყო უმოქმედობის, გრადაციის წლები. ეს ისე, გარეგნულად, თორემ სულში ყოველთვის იყო რაღაც, რომელიც მზადდებოდა და ახლად უნდა შემოსულიყო თითოეულ მაყურებელში. სხვანაირი დატვირთვა ეძლეოდა დარბაზს, თვით რამპას, ან თუნდაც ფარდას ჩვეულებრივი, სახანაობრივად საინტერესო კონცერტის დროს. თითქოს თავიანთ უმნიშვნელოვანეს მისიას ელოდნენ.

და აი, ცაგერის რაიონის კულტურის სახლის ფასადზე გამოკრული აფიშა იუწყებოდა ახლის დაბადებას, ნიჭისა და უნარის ზეობას. შამხალოვის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი „დედამთილი“–კომედია 1 მოქმედებად.

სპეციალურად მოწვეულმა, ქუთაისის მესხიშვილის სახელობის თეატრის რეჟისორებმა ალეკო ტოროტაძემ და ზურაბ ძნელაძემ სპექტაკლი სულ რაღაც 3 კვირაში მოამზადეს. რეკორდული მაჩვენებლით, მაგრამ ეს შესაძლებელი აღმოჩნდა ჩვენი მსახიობის: დარეჯან საღინაძის, გულნაზ გოლეთიანის, ნატო სილაგაძის, მანანა კოპალიანის, გიორგი შკუბელიანის, ზაზა ყურაშვილის მიერ.

მაყურებლით სავსე დარბაზი იმის დასტურია, რომ სპექტაკლი გულით მიიღო ხალხმა. ოვაცია, აპლოდისმენტები არ წყდებოდა. თითქოს ყველას სურდა უსასრულოდ გაგრძელებულიყო.

სპექტაკლს ესწრებოდა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის გუბერნატორი ოთარ სირაძე, ცაგერის რაიონის გამგებელი ვახტანგ კერესელიძე და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები.

ეკა ყვირილიანი

სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს ეგიდით

სექტემბრის დასაწყისში სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს ეგიდით (ხელმძღვანელი მარინა ბენდელანი), ჯანდაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ცაგერში შემოტანილი იქნა ჰუმანიტარული ტვირთი, პროგრამა ჩაშვებული იყო გაზაფხულიდან, გაფრთხილებული იყო ყველა საკრებულო გაეკეთებინათ განაცხადი და მოთხოვნა ამ ტვირთის საჭიროებაზე. ამ ეტაპზე რაიონში შემოვიდა 4 სასმენი აპარატი, ინვალიდის ეტლ-სავარძლები (გერმანული წარმოების), ხელჯოხები, რომელიც განაწილდა განაცხადის საფუძველზე წარმოდგინილ პიროვნებებზე.

მსგავსი დახმარების შემოტანა გაგრძელდება ეტაპობრივად, მსურველებმა უნდა გააკეთონ განაცხადი და მიაკითხონ სოციალური დახმარებისა და დასაქმების სააგენტოს ცაგერის ორგანიზაციას.

ხსოვნა

თემურ ჩოტგოლიანის გახსენება

ერთი წელი გავიდა, რაც ჩვენს გვერდით აღარა ხარ.

ძნელია გავუძლოთ იმ ტკივილს ომელსაც უშენობა ჰქვია. წახვედი და დაგვიტოვე მოურჩენელი იარა. ბევრს დასწყვიტე გულო მაგრამ პირველ რიგში ოჯახს: შვილებს, შვილიშვილებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ გაუთავისებიათ როგორი ბაბუა დაკარგეს.

სხვისი გასაჭირი თუ სიხარული გულთან ახლოს მიგქონდა.

სწორედ, მიტომ ვეღარ გაუძლო ამდენს.

ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს შენი სული, ჩვენ კი ყველაფერს გავაკეთებთ შენი სულის საოხად.

ოჯახი

უკვლესი ღრმიდან ღრეკდე

(გაგრძელება)

ნი–15,359, ებრაელი 441, რუსი 23, სომეხი 91, თათარი 7, ოსი, 9, ქურთი 6, დანარჩენი 10.

1900 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებით ლეჩხუმის მაზრაში, რომელშიც შედიოდა ზემო და ქვემო სვანეთიც, სულ ცხოვრობდა 51643 კაცი, მაზრა დაყოფილი იყო საბოქაულოებად.

1. ალპანის საბოქაულო, ცენტრი აჭარა, რომელშიც იმ დროს ცხოვრობდა 20431 კაცი, მოიცავდა სოფლის საზოგადოებებს ალპანას, ღერჩს, დეხვირს, ნაკურალეშს და ჭყვიშს.

2. ცაგერის საბოქაულო–ცენტრი ცაგერი 19521 მცხოვრებით, მასში შედიოდა საზოგადოებები ზუბი, ოყურეში, ღამხეთი, ლენტეხი, ორბელი და ჩოლური.

3. ზემო სვანეთის საბოქაულოში–ცენტრი მუჟალი, სულ ცხოვრობდა 11690 კაცი.

ირკვევა, რომ 1900 წელს ლეჩხუმის მაზრაში 51642 მცხოვრებიდან საკუთრივ ლეჩხუმის ტერიტორიაზე ე.ი. დიდ ლეჩხუმში ცხოვრობდა 34050 კაცი. (ეს ყველაზე კარგი ციფრია ლეჩხუმის არსებობის ისტორიაში.) ზემო და ქვემო სვანეთში 17593 კაცი.

მონაცემებიდან ჩანს, რომ ლეჩხუმის მოსახლეობის რაოდენობა საუკუნეების მანძილზე სტაბილურია, მაგებასაც ჰქონდა ადგილი, რაც განაპირობა მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ, მტრისათვის ძნელად მისადგომობამ. ლეჩხუმი იმ დროისათვის ვიწრო კანონისებური ხეობებით „ციხე-სიმაგრეს“ წარმოადგენდა. ამიტომ საქართველოს რთულ პერიოდში ლეჩხუმის მტრებისაგან დარბევა არ მომხდარა, პირიქით იმ დროს ბარის ხიზანი მცხოვრებნი თავშესაფარად შემოდიოდნენ ლეჩხუმში და ერთეულ შემთხვევაში მუდმივ საცხოვრებლადაც რჩებოდნენ ადგილზე.

ორ საუკუნეზე ნაკლებ დროში (1801-1989 წწ) საქართველოს მოსახლეობა 7-ჯერ გაიზარდა (783 ათასიდან 5 მილიონ 443 ათასამდე). მთიან რაიონებში პირიქით. ლეჩხუმში 1900 წელს თუ ცხოვრობდა 34 ათასზე მეტი მცხოვრები 1989 წლის აღწერით იყო 17547 კაცი. ე.ი. შემცირდა 2-ჯერ.

XX საუკუნის 50-60-იანი წლებიდან ინტენსიურად დაიწყო უმაღლესი და სამუალო სპეციალური განათლება მიღებული ახალგაზრდების და საერთოდ შრომის და გამრავლების უნარის მქონე ადამიანების დაჩქარებული მიგრაცია ქალაქისაკენ. მიზეზი მათი დაუსაქმებლობა. მოსახლეობის გადინებას ხელი შეუწყო ხელისუფლების მიერ ე.წ. გეგმიურმა გადასახლებამაც და რაც მთავარია მეორე მსოფლიო ომის შედეგებმა. ამ პატარა რაიონიდან ომში გაიწვიეს 7 ათასზე მეტი პოტენციურად გამრავლების მქონე თაობები და ფრონტიდან დაბრუნდა ნახევარზე ნაკლები დანარჩენები დაიღუპნენ, 1991 წლის შემდეგ ქვეყანაში შექმნილმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა უმძიმესი დემოგრაფიული სიტუაცია გამოიწვია, ამას დაერთო საშინელი სტიქიური მოვლენები. ყოველი-

(გაგრძელება გვ. 6)

ოტია ლიპარტელიანი

ოტია, შვილო, 29 აპრილი მწარე მოგონებად გადაექცა შენს ოჯახს. ოთხი თვე გავიდა იმ ავადმოსაგონარი დღიდან და ჯერაც ვერ გავერკვიეთ ჩვენს უბედურებაში. უზომოდ გვენატრები ყველას, ჩვენო უბედურო შვილო. მონატრებაზე ძნელი არაფერი ყოფილა ამ ქვეყნად. შენ ხარ, შვილო, ჩვენი მარადიული ტკივილი, რომელიც განუკურნებელია. უსაშველოდ ენატრები შენს პატარა გიორგის, რომელსაც უშენობით გამოწვეული სევდა ჩასდგომია თვალებში. შენს მეუღლეს–თამრიკოს, რომელიც უშენობით გულდამწვარია. მე და მამაშენი ყოველნაირად ვცდილობთ არაფერი მოვაკლოთ შენს ცოლ-შვილს, მაგრამ უშენობის ტკივილი მოუშუშებელი იარაა ჩვენთვის. შენი დებისთვის საფიცარი იყავი და ხარ შვილო... შენი დისშვილები დათუნა და ნელიკო ყოველთვის შენს ხსენებაში არიან. ხოლო პატარა კოკამ და ციცინომ ჯერ არ იციან რა თბილი და მოსიყვარულე ბიძა დაკარგეს. შენ ყველას უყვარდი, შვილო, ისეთი კეთილი და უბოროტო იყავი, ამიტომ განიცდის უშენობას ყველა–ნათესავები, მეზობლები, მეგობრები.

ოტია, შვილო, პირველად ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ. 9 სექტემბერს 25 წელი შეგისრულდება. ძალიან გვიმძიმს, შვილო, უშენოდ შენი დაბადების დღის აღნიშვნა. შენი სიძეები დიდი პატივისცემით ეპყრობიან შენს ნათელ ხსოვნას. ცხრა სექტემერს ყველანი მოვალთ ჩვენო დიდო ტკივილო, შენს საფლავთან და ღმერთს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

შენზე უსაზღვროდ მონატრებული დედ-მამა, მეუღლე, შვილი, დედ-მამიშვილები ოჯახებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თასის გათამაშება მინი ფეხბურთში

საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რაიონული ორგანიზაციის და სპორტის სამსახურის მიერ ორგანიზებულ რაიონულ ტურნირში მონაწილეობა მიიღო 32-გუნდმა. შეჯიბრება მოეწყო ოლიმპიური სისტემიდან და ასეთი შედეგები დაფიქსირდა:

„ალპანა"–ღვირიში" 4:1
ორხვი–„ტვიში" 2:1
ლაჯანა–I–ლაცორია" 2:1
სპათაგორი"–ლაჯანა–„2 4:0
„სპათაგორი"–„უსახელო" 0:1
„ლეშკედა"–ლაჯანა–2 1:2
„ლაილაში"–უსახელო" 0:2
„ლაცორია"–„ხოჯი" 2:1
„ლაჯანა I"–ორბელი" 8:2
„შევარდენი"–ქვედა ცაგერი" 3:2
„მახაში"–დინამო–„" 3:1
„ბარათაშვილის ქუჩა"–ჭალისთავი 1:1 (პენალტებით 5:4)
სოხუმის ცხუმი"–„მგლები" (ცაგერი) 1:0
„ოყურეში"–სტადიონის უბანი" (ცაგერი) 1:4
„ჯუდო" ჩახუტელი"–თაკვერი" ზუბი 2:0
„გვესო"–ლასურიაში" 3:0
„ჭალა" ჩხუტელი–„ბარდნალა" 3:0
„შევარდენი"–„ჭალისთავი" 1:1 (პენალტებით 1:4)
სოხუმის „ცხუმი"–„მახაში" 0:0 (პენალტებით 2:4)
„სტადიონის უბანი" (ცაგერი)–გვესო" 3:0
„ჯუდო" ჩხუტელი–„ჭალათი ჩხუტელი 0:0 (პენალტებით 4:5)
„ჭალა–ჩხუტელი–„მახაში" 1:0
„სტადიონის უბანი"–ჭალისთავი" 4:3
„ჭალა" ჩხუტელი–ლაჯანა 3:0
„სტადიონის უბანი"–ალპანა"–1:0

რაიონული ტურნირის ფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ჩხუტელის ჭალა" და ქ. ცაგერის სტადიონის უბანი".

დაძაბული შეხვედრა მოიგო ჩხუტელის გუნდმა 2:1. რომელსაც გადაეცა ტურნირის მთავარი პრიზი და ფულადი ჯილდო.

ფინალურ შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის წევრი, ქვეყანაში ამ საინტერესო სპორტული ღონისძიების ორგანიზატორი ვალერი გიორგობიანი. გამარჯვებული გუნდი მონაწილეობას მიიღებს მინი ფეხბურთელთა ტურნირის რეგიონალურ გათამაშებაში რომელიც ამბროლაურში გაიმართება.

ზიორზი კვირიკაშვილი
საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ცაგერის რაიონული ორგანიზაციის აღმასრულებელი მდივანი.

სპორტი

მხიარული შეჯიბრებები

საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში ცაგერის სტადიონზე სახალისო ფეხბურთის სკოლამ (ხელმძღვანელი გია სილაგაძე, ტექნიკური ლიდერი პორფილე კოპალიანი) ჩაატარა მხიარული სპორტული ღონისძიებანი.

სულ პროგრამაში ჩართული იყო 180-ზე მეტი ბავშვი 7-12 წლის ჩათვლით, რაიონის თითქმის ყველა რეგიონიდან.

სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები ბურთები სპორტული მაისურები და ქუდები, წყლის ბოთლები, სპეციალური სიგელები.

მიუხედავად, იმისა, რომ ღონისძიების ჩატარებას წინ უძღვებოდა გარკვეული ობიექტური პრობლემები საერთო ჯამში, მას დიდი მოწონება ხვდა წილად.

კარგია, რომ რაიონში საინტერესო ინიციატივას ჩაუყარა საფუძველი, რაც მომავალში რაიონის ბავშვებს და მოზარდებს კიდევ არაერთ სიურპრიზს ჰპირდება.

უძველესი დროიდან დღემდე

(დასასრული)

ვე ამის შედეგად ძლიერ შემცირდა შობადობის მაჩვენებელი, რამდენჯერმე გაიზარდა სიკვდილიანობა. საბოლოოდ მკვეთრად შემცირდა მოსახლეობა, 2002 წლის აღწერის მონაცემებით რაიონში ცხოვრობს მხოლოდ 16 ათასზე ნაკლები მცხოვრები.

1989 წლის მონაცემებით ასეთი სურათია ლეჩხუმში 17547 მცხოვრებიდან მამაკაცია 8034, ქალი 9513.

მძიმე სურათი იკვეთება ასაკობრივი სტრუქტურების ანალიზით, რაიონში 1989 წლის აღწერით 19 წლამდე ასაკის 4455 ახალგაზრდა ცხოვრობდა, როდესაც ამ ციფრს საერთო მცხოვრებთა რაოდენობას 17547 შევადარებთ ადვილი მისახვედრია თუ რასთან გვაქვს საქმე. მოსახლეობა გადაბერებულია, უარესი მდგომარეობაა დღეისათვის.

როგორც აღინიშნა რაიონში ყოველწლიურად განსაკუთრებით მცირდება შრომის და გამრავლების უნარის მქონე ახალგაზრდობის რაოდენობა. პირიქით გარკვეულ პერიოდამდე იზრდება ასაკოვნების რაოდენობა. 1989 წლის მონაცემებით ასეთი სურათი გვაქვს: რაიონში 30 წლის ასაკის ცხოვრობდა მხოლოდ 215 კაცი, 31 წლის–189, 37 წლის–171, 40 წლის–186, 55 წლის–273, 60 წლის–380, 65 წლის–217, 70 წლის–184, 80 წლის–122, 85 წლისკი მხოლოდ 62.

რაიონში ბოლო წლებში ყოველწლიურად მცირდება მობადობა. იზრდება გარდაცვლილთა ციფრი. კერძოდ 2004 წელში დაიბადა მხოლოდ 57 ბავშვი, გარდაიცვალა 271 კაცი. 2005 წელში დაიბადა 55 ბავშვი გარდაიცვალა 214 კაცი. ასე თუ გაგრძელდა ადვილი მისახვედრია თუ რა ელოდება ამ მრავალმხრივ საინტერესო მხარეს ლეჩხუმს.

რაიონს გააჩნია მდგომარეობიდან გამოსვლისათვის უამრავი რესურსი, ახლა მათი ამოქმედება და გამოყენებაა საჭირო. მაინც ლეჩხუმის აღორძინების საქმეში გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას წმინდა მამის მაქსიმე აღმსარებლის უკვდავმა სახელმა. მისი საფლავის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის შორს გატანამ, რაზედაც თავდადებით ზრუნავს მეუფე სტეფანე, რისთვისაც დიდი მადლობა მას. ალბათ ახლო მომავალში დასავლეთიდან, საქრისტიანო სამყაროდან ლეჩხუმისაკენ, აღმსარებლის საფლავის და მისი სახელობის ტაძრისაკენ დაიძვრება მომლოცველთა ნაკადები, რაც უდავოდ დიდი სულიერების და მატერიალური სიკეთის მომტანი იქნება ჩვენთვის.

გფარავდეთ უფალი ღმერთი.

სიბრძნის საგანძურიდან

არ არის სიკვდილი, როცა არის გამარჯვების უმაღლესი ბედნიერება.

***

არჩევნების წინა პერიოდში მგელს და ბატკანს ერთმანეთისგან ვერ გაარჩევ.

***

ჭეშმარიტად დიდია ადამიანი, რომელმაც შეძლო თავისი დროის დაპატრონება.

***

ცილისწამება დაშნაზე საშიში იარაღია, რადგან მისგან მიყენებული ჭრილობა არ იკურნება.

***

ღმერთი ნაკლებს გეკითხება და ბევრს გპატიობს.

***

ო, არასოდეს არ არის გვიან
თუნდ ბოლოს მიხვდე,
რა გზა უნდა გამოგეარა
რომ შენ რწმენის სიმაღლესთან მისულიყავ.

გილოცავთ!

ნუგზარ კოპალიანს

დაბადების დღეს გილოცავთ.
სიხარულს, სიკეთეს და სიყვარულს გისურვებთ ცხოვრების გზაზე.

შენი მეგობრები

პოეზია

■ ■ ■

აქ ერთი პაწია ქალაქია,
შიგ ქვის სახლები ალაგია:
დადიან, ხარობენ, იცინიან
ჩემში კი ისეთი სიცივეა.
სიცივეა...
მაინც რა არის სიყვარული?
სიყვარული ისეთი შეშლილია—
სიყვარულის ყველას ეშინია.
სიკვდილი სიყვარულზე ადვილია.

■ ■ ■

დგას მწვანე სუნის ქრიზანთემების,
ლიანდაგების, ცეცხლის გემების...
ჩემი ლამაზი, ჩემი მემერი—
უკანასკნელად ქუხს სექტემბერი.
უკანასკნელად, უკანასკნელად
გახარებული ბარდვი მასკდება.

■ ■ ■

მე კი უკვე ჟამი სინანულისა
მწამს ღონიერ მეწყერის,
მწამს საწუთროს მდევრისა
მაგრამ, გული—ლადარი
ეგ უღმერთო ნაპირი
სიკვდილამდე რად არი
ისე როგორც აპრილი?

ნაზი კილასონია.

რედაქტორი
თამარ დავითულიანი

პასუხისმგებელი მდივანი
მზევინარ ძნელაძე

სარედაქციო კოლეგია:
ეკა ყვირილიანი,
მარინა სვანიძე,
ეკა ბენდელიანი

მისამართი:
ცაგერი, რუსთაველის №47 მობ: 899 951678

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის სს „მანდარიას სტამბაში"
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33
ტელ: 70780, 73499